

დამატებით სემესტრში/საგანზე დარეგისტრირება

სტუდენტს უფლება აქვს:

ა) დარეგისტრირდეს დამატებით სემესტრში გეგმიური ვადის (ბაკალავრიატზე - 8 სემესტრი; მაგისტრატურაზე - 4 სემესტრი; დოქტორანტურაზე - 6 სემესტრი) ამოწურვის შემდეგ. ბ) დარეგისტრირდეს დამატებით საგანზე (იქნება ეს საგნის განმეორებით მოსმენა თუ ახალი საგნის დამატება).

აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით აკადემიური კალენდრის შესაბამისად დადგენილ ვადებში და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად;

ორივე (ა და ბ) შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით, მიმართოს შესაბამის სკოლას (კოორდინატორს) დასკვნის მომზადების მიზნით, შეავსოს რეგისტრაციისთვის განკუთვნილი განაცხადი და სკოლის დასკვნასთან ერთად გადააგზავნოს UMS სისტემის მეშვეობით ან უნივერსიტეტის მეილებზე q.amirashvili@sangu.edu.ge; m_gelashvili@sangu.edu.ge;

სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში შესაძლებელია სასწავლო კურსებზე განაცხადის გაუქმება და მის ნაცვლად სხვა სასწავლო კურსზე დარეგისტრირება.